




# ნახევანი

## 17=18

136 /  
1992/2


მართვალთ ერო, მართულთ  
მიწათ, წყალთ, ჰაერით...  
მაღლით უფალი გზარავდით,  
დაბლით — მაღალი გარო!



ალექსანდრე მურთაზა აბაშიძისა

კინოვ, ნუ აქვავ წყაყა,  
შენს წყინის ზინაყაღა!

ღაღი წყინაღაღა



ნახ. ჯ. ლაშვილი

— რას აკეთებენ ესენი აქ?!  
— საფლავს ყარაულობენ, შიცვალეხული რომ არ ამოთხარონ  
და ჭირისუფალს გამოხასყიდი არ მოხთხოვონ!..



# სოფლის შენებას რა უნდა?!



მართი კარგი სიმღერის თქმა რომ სოფელს ვერ ააშენებს, ეს ამ გახმაურებული მულტფილის ავტორებმაც გვამცნეს და ჩვენც კარგად ვიცოდით, მაგრამ სოფლის შენებას რომ დიდი ფილოსოფია და თავის მტკრევა არა სჭირდება, ის თუ იცით?!

თუ არ იცით, ახლავე აგინსნით!  
 იმისათვის, რომ სოფელი ააშენოთ, მთავრობის მიერ პრივატიზაციის წესით გადმოცემული მიწის ნაკვეთი უნდა მიიზომოთ და ხელუბი დაიკაპიწოთ! ამერიიდან უკვე თქვენს მუდმივ საკუთრებაში არსებული ნაკვეთი, გნებათ, ჩინური კედლით შემოღობეთ და გნებათ — ტყრუშული ღობით! აქვენს მიწაზე, გნებათ, ორსართულიანი სახლი წამოკიმეთ და გნებათ — საავარაკო კოტეჯი! გნებათ, ვენახი მოაშენეთ და გნებათ — ხეხილის ბაღი! გნებათ, ქარხანა ააშენეთ და გნებათ — ლუდხანა! „შენი თავი შენადვე გეყუდვენსო!“ — გვიცხადებს მთავრობა და მომავალზე ფიქრს უოგვლ ჩვენთაგანს ჩვენვე გვითმობს! მთავრობას მხოლოდ ის ევალება, რომ ჩვენზე სიმწვიდისა და საზღვრების დასაცავად ჯარი და პოლიცია შეინახოს, გზა გაიყვანოს, წყლით, ელექტროენერგიითა და გაზით მოგვამარაგოს, იმაზე იზრუნოს, რომ ნორმალურად მუშაობდეს ტრანსპორტი, ტელეფონი, ფოსტა და ტელეგრაფი!.. საბჭოთა, ტოტალიტარული, ანუ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული რეჟიმისაგან

განსხვავებით, მომავალი, დემოკრატიული მთავრობის უფლებამოსილებობანი საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის მოღვაწეობას უფრო მაგონებს და მიაოცებს სოკოსავით მომრავლებული ბარტიებისა თუ ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა გააფთრებას!.. რისთვის იბრძვიან?! სახლმმართველის თანამდებობისათვის?! განა სასაცილო არ იქნება, სახლმმართველობას ოპოზიციიში ჩაუდგე და ოში გამოუცხადო?!

მე, პირადად, არავითარი სურვილი არა მაქვს, ვიყო მთავრობის ხელმძღვანელი და დღე-ღამეს ვასწორებდე იმაზე ფიქრში, თუ რატომ არ მუშაობს ნორმალურად კანალიზაცია, რატომ შემოაკლდა მოსახლეობას ტუალეტის ქაღალდი, ბამბა, ბინტი, ერთჯერადი შპრიციები, რატომ არ გააქვთ დროულად ნაგავი და ა. შ. დაე, ამაზე იმათ იფიქრონ, ცხოვრება რომ ვარდისფრად ეჩვენებათ, ჩვენ კი ხერხი ვიხმართ, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით! ხერხი სჯობია ღონესაო, — ნათქვამია. პოდა, ავიღოთ ხერხი და ცუელი, ხელეჩო და წალდი, თოხი და ბარი, დავკრათ ძღუემად, შრომის ოფლი ვაწვიმთ მიწას და სოფელიც აშენდება! აუცილებლად აშენდება ღონიერი, უხვმოსავლიანი, მრავალშვილიანი, ბედნიერი ქართული სოფელი!

ვასო რცხილაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



— წერა-კითხვა არ იცით, ვერ დაგიწერთ დადებით ნიშანს!  
 — მე ფახიანზე ვაბარებ, პატივცემულო!

თემა ნ. ბართიახი



შიტინგებით აგრე მართვა  
(ჭვეუნის) სწორი არ მგონია!  
თუ ეს სენი დაგვემართა, —  
შორს არ არის აგონია!..

წყევლის წარები  
შეშაჯარები,  
ავი ქალები,  
ხეპრე ძიები..  
ჭერ — მუქარები,  
შერე — სიები —  
ახე იწყება  
რეკრესიები..

ერისშვილის სახელისთვის  
არ ღირს იშის ძიება, —  
წვლილი ვისი ცოტა იყო,  
ანდა — ვისი შიტი,  
მთავარია, იბაგუნო  
მუშტი მკერდში შიშიშედა,  
მთავარია, სტაუიანი  
გერქვას დისიდენტი..

ისეთი უაშიც დაგვიდგა,  
როცა  
ბევრი რამე მოჩანს ცერად:  
პოეტთა მხრიდან გაზიორდა  
ლოცვა,  
მღვდელთაგან — ლექსთა წერა!

პოი, დედანი  
და ბებანი,  
ჩანთებში — ბოლმის  
ნალმებიანი,  
ხად გინდა,  
რომ არ შეეჩრებთან —  
პროკურორებსაც  
შეეჩრებთან..

სამთავრობო სახლთან მდგარი  
კარავს ეტყვის კარავი:  
— ჩვენ არ დაგვწლის წვიმა,  
ქარი,  
არცა კაცი არავინ..

კიდევ კარავი,  
აუ, კარავი..  
იქ ბინადართა  
ინტრიგები  
დაუფარავი..  
იფრქვევა წყველა  
უკადრისი  
და უთვალავი,  
ერთობისაკენ  
გზა კვლავ რჩება  
დაუძვალავი..

1991 წ.

შეიძლება, უცხოეთთან  
კონტაქტები დავაწყაროთ,  
შეიძლება, იქაური  
ექპერტებიც მოვიწვიოთ,  
მთავარია შინც ჩვენი  
შიწა ჩვენვე გავაზაროთ,  
ჩვენვე რამე ვაწარმოოთ,  
მოვიყვანოთ, მოვიწვიოთ..

ერთ შვენიერ დღეს  
რომ გახედე  
მშობლიურ ქუჩას,  
ხად ახალ-ახალ  
დუქანთა რიგს  
ბოლო არ უჩანს —  
გაკვირვებულნი,  
ეგება, დარჩი,  
ხომ არ იფიქრე:  
„ხად გვეყავდა  
ამდენი ჩარჩი!“

ერთხანს თავი დავანებოთ  
ჩვენს დიდებულ წინაპართ,  
ღვთიურ მადლით ცხებულთა და  
ციურ ნიჭთან წილნაყართ,

ახე ხშირად ნუ ვაწუხებთ  
უკვდავების ბინადართ,  
კარგად ვიცით, ვინ ვიყავით,  
ის ვთქვათ, ახლა ვინა ვართ!

კარგად ვიცით, რას და როგორ  
ვაშენებდით ადრე,  
ახლა ის ვთქვათ, იმ ნაშენებს  
რას და როგორ ვანგრეთ..

## პროვინციული პასაჟი

ისევ გაიხმის  
ავტომატის  
ავი კაქანი —  
წარხმად მყოფნა  
გამობრძანდნენ  
რეტორიანი დანი..  
ყურმინვეულებს  
აღარ იტანთ  
ქალებს კანკალი..  
ხვალინდელი დღეც  
ისევ გავა,  
დღეს რომ გავიდა?!

განა, რა ძნელია  
ჩემი დაფიქრება! —  
ავტომატობილიების  
მაკლდა აფიქრება —  
ეს არამზადობაც  
მარჯვედ ავიტაცეთ,  
დიდი ხანია, რაც  
ღმერთი განვტაცადრეთ..

ბოროტ მოქმედებმა  
(დაუდგენელი შიშა)  
ესა და ეს ჰქმნის..  
დაუდგენებლადვე  
დარჩნენ ყოველთვის —  
ადრე, გუშინ, დღეს..  
ბოროტ მოქმედთა  
დადგენა როგორ  
გავძინებოთ,  
შესაბამისი  
ხერხები  
ხომ არ დაგვძველებია?!

ბანდიტები თუმცა ბევრჯერ  
შევაჩვენეთ, —  
ძარცვა,  
კაცთკვლა ვერა და ვერ  
შევაჩერეთ..  
ჩვენი თავი ბედის კალთას  
მიგვიცაია —  
სხვა რა გვჩრება,  
თუ ვერ გვიცავს  
შილიცია?!

ვაი, ბედკრულ  
და საცოდავ  
საქართველოს, —  
რამდენ ობერს  
სურს შედგეს  
და  
გადათვლოს..  
ავად გვეყავს და,  
ნეტავ, ქვეყნად  
ძალა თუა,  
შის იარებს  
უწამლოს და  
გაამართლოს?!

## საყოფაცხოვრებო

ახა, როგორ არ მოგვიდა  
ბრაზი:  
არ მოდის წყალი,  
შუქი ჩაქრა,  
არ არის გაზი..  
ტრეფონიც რომ  
გამორთულია,  
მდგომარეობა მართლაც  
რთულია!

შენატრი სულ ძველ  
პირველყოფილებს,  
გამოქვაბულში  
თავშეყოფილებს! —

წყლის, შუქის, გაზის,  
ტრეფონის  
არ ჰქონდათ შიში —  
არ ჰირდებოდათ  
ვაი და ვიში!

განა ცოცხლობდნენ  
სულელები ღოცვით —  
ხაძლომად ჰქონდათ  
მამონტის ხორცი..

მომდის და მომდის  
სიმწრის ოფლი და,  
თავს ველარ ვაღწევ  
ამდენ ტანჯვიდან:  
დავჩრენილიყავ  
პირველყოფილად,  
განვითარებას, ნეტავ,  
რა შრჩადა?!

მკვლელის დახოცვა

იქას ნიშნავს,

შენც მკვლელი იყო!

ყოლიამ შექსპირი




— უკაცრავად, რას აძლევენ, თუ იცით?  
— კი არ აძლევენ, ჩვენ თვითონ ვაძლევთ, ქაშრებზე რომ ნახვრეტები მოგვიმატოს..



# მე დაქსმაშვილი!

საქართველო  
გეოლოგიური



თითქმის ყოველდღე აცხადებენ ტელევიზიით — ავადმყოფს სასწრაფოდ სჭირდება ესა და ეს წამალი და დაეხმარეთო! იმას კი არაფერს კითხულობს, პირადად მე მიჭირს თუ არა რაიმე?! ბებიაჩემის ღრმად მოხუცებულ დას აქვს სკლეროზის ნიშნები, შექნილი ასთმა, სახეზე გაუჩნდა ნაოჭები!.. ბიძაჩემს აწუხებს რადიკულიტი, ბიცოლაჩემს — თავის ტკივილი!.. ფეხისა და ენის ქავილით მეტანჯება მამიდა (თანაც ნათქვამია, — ყველამ თავის მამიდას მოუაროსო!) თვითონ მე თირკმელში ექსტრემისტივით ორჯერ გამიარა კენჭმა და კენჭივით კაცი კინაღამ გამაქვავა!.. თორმეტჯოჯა ნაწლავზე მაქვს თერთმეტი მიკროწყლული, გადატანილი მაქვს ერთი მიკრო და ორი მაკროინფარქტი, მძვრება 50 წლის წინათ თავისით ამოსული ექვსი კბილი, მცვივა შუბლზე ერეგნის ემულსიით გადაწებებული თმა, მაკლდება ყურთასმენა და მემატება ჭამის მადა!..

ვისაც ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების საწინააღმდეგო მედიკამენტები გაქვთ, ღროზე მიშველეთ და სასწრაფოდ გამომიგზავნეთ!

მაქვს სხვა გასაჭირიც: დღეს ყველაფერი ძვირდება და ძვირდება, მადა კი, მეც და ჩემს ცოლ-შვილსაც, ყოველდღიურად გვეზრდება (ჩემი სპორტსმენი ბიჭი ერთ მოუხარშავ ცხვარს შევკამს ერთ ჭამაზე!) არადა, ძალიან გვიყვარს ზუთხი (ჩვენებურად რომ „ასეტრინას“ ეძახიან), ხიზილალა, ბულგარული და რაჭული ლორი, შებოლილი თევზი, გურული კუპატი და მეგრული ელარჯი!.. გვენატრება ყველი, ღომი, ბრინჯი (მიტომ ვარ დაბნეული ბრინჯივით!..), ძეხვი, კარაქი, სულღუგუნი, ნატურალური ზეთი (სტუმარი რომ მომდის, მიტომ ვიზებები!) და სხვა საკვები პროდუქტები.

ვისაც ამ პროდუქტებით მაცივარი გამოტენილ გაქვთ, გთხოვთ, ცოტა მეც მიწილადოთ!

დავხრივინებ ძველი „ზაპოროჟეციით“, მირჩენია ახალი „გაზ-24“, ან ტაოტიანი „ტოიოტო“ (გაზ-24-10-საც არა უშავს, თუ არადა, „მერსედესი“ იყოს!).

თითოეულმა თქვენთაგანმა რომ თითო მანეთი შეაგროვოთ, ისიც საკმარისია ამ მანქანის საყიდლად! რაც შეეხება სათადარიგო ნაწილებს, ამაზე თქვენ არ შეწუხ-

დეთ, მე თვითონ შევიძენ შავ ბაზარზე, გამოხდილ წყალს, ზეთს, „უიდეოსტს“ და ბენზინსაც მე ჩავასხამ!..

ბოლოს კიდევ მაქვს ერთი სათხოვარი: დამიძველდა ქუთაისური ავეჯი და საძინებელი!..

მირჩენია, ახალი იმპორტული ავეჯი, თავისი საძინებლითა და გარნიტურით!.. ბარემ მადლს მარილიც მოაყარეთ და ესენიც მიყიდეთ!

ჩემი ტელეფონის ნომერს გეტყობით, მაგრამ იგი კარგა ხანია დუმს!.. არც მისამართს გეუბნებით, რადგან, შეიძლება, სულ მალე ცოლმა ბინიდან გამომავლოს, ამიტომ, უმჯობესია, თქვენ თვითონ მაცნობოთ თქვენი მისამართი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საშუალებით და, მიუხედავად იმისა, რომ საქმეებით ძალიან დაკავებული ვარ, მაინც მოვიცლი და მე თვითონ მოგაკითხავთ ბინაზე ტაქსით! წინასწარ გმადლობთ!

განო ცინცაძე



— რაც თავი მახსოვს, სულ ასე არეულ-დარეული იყო ეს ქვეყანა!  
— კი მაგრამ, ასეთ არეულ-დარეულობაში თავი კიდევ გახსოვთ?!

თემა აბ. ბასილიანსი  
ნახ. დ. ზარაფიშვილისა.

# „წმინდა მიქელაზი“ კვლავ ჩვენთან არიან!..

ეროვნული  
ნიღბი

ალბათ გახსოვთ ქართული ფილმი „დაკარგული სამოთხე“, სადაც აზნაურ მიქელასა და მღვდელს თაღლითობით, მორწმუნეთა მოტყუებით უნდოდათ ფულის შოვნა..

სწორედ ასე მოხდა შარშან ჩვენს სოფელში, ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვაგაში: 1991 წლის 29 აპრილს მიწისძვრის შემდეგ, სტუმრად ჩამოსულმა მრგვალმაგიდელმა ვინმე ჭემალ ფანცულაიამ ჭერ ჩვენ გვამცნო „ღმერთის ჩამოხრძანება“, შემდეგ კი ტელევიზიით მთელ საქართველოს მოსდო ეს „სახწაული“! ამით ისარგებლეს ფანცულაისთან შეამხანაგებულმა „წმინდანებმა“ და დაგვიდგეს რკინის დიდი ყულაბა... ფულის ჩასაყრელად!..

რაჭაში, ღვთის წყალობით, მართლაც ბევრი დიდებული და ხაჭვეუნოდ ცნობილი წმინდა სალოცავი გვაქვს,

სადაც ჩვენი წინაპრები ლოცულობდნენ და რას მგავს „მრგვალების“ მიერ ჩადენილი ეს საქციელი?!

ძველ ხელისუფლებას ბევრჯერ შივმართეთ ამის შესახებ, მაგრამ დაგვტუქსეს, — როგორ, თქვენ აღარც ღმერთი გწამთ და აღარც წმინდანიო?!

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი უმსგავსობა? ნუთუ, ახალი ხელისუფლებაც „წმინდა მიქელების“ მხარეს დადგება?!

გიორგი მაჩაიძე, სერგო მაჩაიძე, ჯუმბარ ბედელაძე, ვახტანგ გონგაძე, რაფო მებონიძე, სოლომონ ნეფარიძე, ლილი ააციტაძე, დოდო ჭვათაძე, შალვა ჩლაიძე, მინა კირვალიძე, აბაკი ბუსრაშვილი.

(ამბროლაურის რაიონი, სოფელი სხვაგა)



— შენს არაყს გრადუსი აკლია!..  
— სამაგიეროდ, ფასშია გრადუსი!

ნახ. გ. ლომიძისა

გადაჭრილია ცა ედვით,  
რომ გყითხო, — აბა, რა გიშავს?!  
ერთი კვდება და სხვა ელის  
და ემატება შავი შავსი..

ვაშოკლებთ მოკლე ხაწუთროს,  
გულს სიძულვილით ვიოხებთ,  
ძმა ძმას ოცნებას არ უთმობს,  
ძმა ძმას ამაღლის სიცოცხლესი..

ბედია, — ვინ რით გაერთოს,  
ვინ ვისი ღამე ათენოს!  
არაფერი აქვს საერთო  
შენსა და ჩემს საქართველოს!

### ს ი ც ი ლ ი

ახლა ვსჯით წელთა მიღშიდან,  
სიხეცეს ჩვენსას ვიცილებთ!  
ვიცინეთ, როცა გვიღწინდა,  
გვეტირებოდა, — ვიციინეთ!

აღარც — მოკლული წყურვილი,  
აღარც — გათბარი სიცვიე!..  
ვიცინეთ, — ზოგაც დუმილის, —  
სიცილით — ორჭერ ვიციინეთ!

გავუადვილეთ სიმწირე  
ლტოლვილს, მოსისხლეს,  
მოკვეთილს!..

ჩვენი შტრისა ზომ ვიციინეთ,  
ვიცინეთ სხვათა მოკეთის!  
ბედის ვარსკვლავი ის თუა,  
რომელიც შკრთალად ციმციმებს!..  
ვიცინეთ დღეის — ბითუმად,  
ხვალის — ავანსად ვიციინეთ!

არცვინ მზე გაგვიანაწილეთ,  
არც ლოცვას ვინმე აღვავლენთ!  
სიცილით ნატვრაც გავწირეთ,  
ბედნიერებაც დავღალეთ!

ბოლოს აიმღვრა სათავე  
ჩვენი ცრემლით და სიმციროთ!..  
სიცილი ჩამოვათავეთ,  
ახლა... ეშმაკი იცინის!..

### 50 და 100-მანეთიანების ბაზოცვლის ბაზო

უფულო კაცის წუხილი ვნახე,  
უფულო კაცის ვაი და ვიში,  
უქონელობით დაღლილი ხახე,  
დუხჭირი ყოფით დამტყდარი  
შეშეი!..

მაგრამ ამ სახჯელს არაფრით არ  
გაგვს  
ფულიან კაცის ელდა და იჭვი!  
გიჭირს ერთმაგად, როდესაც არ  
გაქვს,  
როცა გაქვს, თურმე, ორმაგად  
გიჭირს!  
რა ძალუძს მარტო სიტყვას და  
სახელს,  
კაცს, თავის თავთან ზეცამდე  
მართაღს?!

ფულიან კაცის წუხილი ვნახე, —  
უფულო კაცის რას მოგა მანთან?!

დღემდე ველოდით ლოდინს,  
ლოდინს — ცის გახსნის მიჯნის!..

კი არ ვიცხოვრეთ, ცოდვით  
ვეყმეთ სიცოცხლეს მისჯილს!

განვლილ დღეების ჯამი  
ახლა გვიმძიმს და გვიჭირს —  
უფრო ნაწომი საქმით,  
უფრო ნაწონი ჯიბით!

სამიწინედ — ტკბილი ლუქმა!  
რა ნიჭი, რისი ნიჭი?!  
რწმენით ვიარეთ უკან,  
წინ — ნაბიჯით და ბიჯით!

\* \* \*

უნდა მივიდეთ სხვადასხვა  
გზით, სხვა წვითა და სატკივრით!  
ნამყოფი სადაც არა ზარ,  
იქ არის შენი ადგილი!

მორჩა! აქ ველარ გვიგებენ  
ნატვრით, ლოდინით, ფიქრითა!..  
სადაც ვნახეთ და ვიგემეთ,  
უნდა გავიქცეთ იქიდან!  
უნდა წავიღოთ ჩვენ-ჩვენი  
ცრემლი!.. ნუ შემოვიღამებთ!..  
ვიჩქაროთ, თორემ ვეჩვევით  
ამათ მოღრეცილ ნიღაბებს!  
ყურს ნურას გუგდებთ მუქარას,  
ნურც ჯვარცმით, ნურც  
სატევართი!

„ზოგნი — წინ, ზოგნი — უკანა,  
შუაში სადამ მე ვარს!..“

სიცრუით და მტვრით ჩახერგილს.  
გზას გამოვცდით ცინტაობით,  
გადასარჩენს ვწავდით, ვხედვით.  
რვალგაბზარულ ხმით ვდაობდით!

მამა-პაპათ ვვინცით ძველები,  
დაპირება საქმით ვცანით,  
წერად მელნის ვაშრით ზღვები,  
სიყალბეთა დავდგით მთან!

ვეთომარეთ არაკებით  
ამ ცხოვრების ცოდვით ხაგხეს,  
არც მეტი და არც ნაკლები —  
საქმე გვეკონდა გაძლებაზე!

უკაცობით, ჯვარცმით, სიმწრით  
და თავაკცთა უთავობით  
ღმერთს ვამსხვრევდით, ეშმაკის  
წილ,

რვალგარეულ ხმით ვდაობდით!

აქეთ ლიხის, იქით ლიხის,  
დღეს, უნდ გავწვდეთ სიბრძნის  
ნიჭის:

თუ რამ გვიღწინს, სხვისიც  
გვიღწინს,  
თუ რამე გვეჭირს, თავისაც  
გვეჭირს!

იზან იცის, ვინც წვალობდა,  
ის გაიგებს, ვინაც წვალობს, —  
გადაშენდა „ხვთის წყალობა!“  
და თან მიმყვა „ღმერთიმც  
გწყალობს!“

ნახ. მ. აბაშიძისა



ერთმა მზერამ მიმახედა,  
დღეს საჩინო თუ ჩამიქრა!  
შენ „ნუ, ნუ, ნუ!“ იძახე და,  
მამასწვერა მართლა იქამს!

\* \* \*

აქ რომ ზარ, ცა რომ გახურავს,  
რადაც ზომ უნდა ატეთო?! —  
ან სიკვდილს მჟავდე მხახურად,  
ანდა სიცოცხლით გაერთო!

მიწა თუკი ვერ დაგიტევს,  
ეს სივრცეც შემოუერთო!  
შენს სამყოფს იტევს და კიდევ  
მცირე წვიმას და მცირე თოვლს!

ზოგჯერ თუ ნაკლულს ეყოფი,  
ზოგჯერ ნაკლულიც იბევრო  
და ეამი, ყოვლის ზღმყოფი,  
არ შეცდე, არ შეიფერო!..

— რა მეშველება, არ ვიცი!.. ამ შიმშილობის დროს სკლეროზი  
გაუჩინდა: ახლა ვაჭამე საჭმელი და ამბობს, არ მახსოვს, მაჭამე თუ  
არაო!..

გულს ჩაუღრმავდე უძირს,  
უმაღლო იმედს, ნათიერებს,  
უნდა ენდო და უსმინო  
ზან მთიელს, ზან გადამთიელს!

თუ ბედი უკან დაიხევს,  
სახლში ნუ ელი, ხატონო!  
იქ თუ ვერაფერს წაიღებ,  
აქ რაღაც უნდა დატოვო!

გაუკუღმართდა გონება?! —  
სარჩულიანოდ მონათლელ!  
ხელი გაქარი — ცხოვრებას  
ზონჩით ვინ ბრძევი მოგართმევს?!

თუ კაცად ყოფნას ვერ შეძლებ,  
თუ დასჯი ღმერთის წყალობას,  
შესძელ — ცრუ საქმებს ნუ ეძებ,—  
კაცი რომ დაჯდეს სკამზე!

\* \* \*

რა აღმართის ძირას ვდგავარს —  
მე ვინ შეხებას, პეტრე რომ  
ხარს!

არც იმაზე არ მაქვს დავა,  
ტანს რომ გშვეფის მწვენი ჩოხა!

არც იმაზე, არც ამაზე,  
მაგრამ მაინც ერთი დარჩა,  
რაც მტრად აღმაშენებს  
კაცს და იმის ქამარ-ზანჯალს:

სიხარული — თავის დარღობა,  
ერთგულდება — ღირსი მოყმის,  
ცოტა სითხო, ცოტა მადლი,  
თანაც რა სჯობს მარტივმოყრის!

მუხლი — შიხვი, ფერი — ლევა,  
გული — მულოი თავის  
გზაწვრილს! —  
სულ ამ მცირეს ვითოვ შენგან  
განადებს და შემოსაწირს!  
სხვა რა?! — მენდო, კაცი თუ ხარ,  
ჭირისუფალს და მეუღეს —  
შევავედრებ შენს საწუხარს  
ნატვრისთვალს, თუ დავუფლდი..

\* \* \*

მიიწვევა გაწაფული  
ტყემალ-ტყემალ, მთიდან  
მთებზე!..

დღე და ღამის ირგვლივ ვუვლი,  
სამერმისო მიწებს ვეძებ!

ნაგროვები კარითკარად,  
თითებამდე გამწვდა სითხო,  
გაოცება გაიხმარა  
წყვილ-წყვილმა და თითო-თითო  
მეთვალყურეში — ვიცი, მარა,  
მიმთვალეთ ეხეც ვითომ!..

გვა საქვეყნოდ რომ ეშვება, —  
თქვენად ბედად მიხვდით სწორედ,  
მაგრამ მაინც ნუ გეშლებათ  
რაღაც-რაღაცები, თორემ!..

იმ ქარობით ქარი ქარობს,  
როცა კენეტდა გული ლაგამს!..  
სათქვენო და საიქაო  
სიხარული მქონდა, მაგრამ!..

მაინც ჯობდა, არ მეხილა  
ზოგი აქ და ზოგიც მიღმა!..  
თქვენს პირად და ჩემდა ლხინად  
არ მიმეტებს ხაღაღაც ვიღაც!..

ვინ დამითმო ის ვარდობა,  
ეხატია რაიც მაისს?!.  
ზოგჯერ გულიც გაიმაღლოდათ,  
კი თქვენთან ვარ, მაგრამ  
მაინც!..

ვერ ვეღვევი კაცის ხეობას  
და ეშმაკის ლიქნს და ხარხარს!..  
დაიღწინეთ ის „ბიჭობა“,  
ეს დიდობა გიჭირთ რაზან!

ვწუხვარ, თუ ვერ გაგიმართლეთ.  
თუკი შედგა ღმერთი თავზე!..  
ღლის თავდებით ღამეს ვათევ  
ამგვარად და, აი, ასე!..

\* \* \*

სიცოცხლე გვიღვინებს?! — არც  
ისე!

რას ვაშავებთ და — არაფერს!  
ვხარჯავთ ფრთებს, ვინმეს  
საცისებს,  
ვამბობთ სხვის ნალაპარაკებს!  
ეხაა, — ზოგჯერ მზის ნავლით  
მწერი ლტოლვას თუ დავდლით!..  
აღმართს ვკიდევართ, სხვის  
ავლილს,  
სხვისავე ვიწმინდო სისულს  
დაღვრილს!..

გვიღირს წვა ერთი ღამისა  
სახამხალიდ და სათაფლიდ,  
ვიყოფთ მოტანილს ქარისას,  
რას ვაშავებთ და — არაფერს!

\* \* \*

გვიჭირს, ერთუროს ვუთხრათ:  
„მწამხარ!“

ვერ ვეწამლე სახრალის  
გულს, ხატუნა რაზან არ ხარ  
არც შენ მამა-აბრამის!

მთავარია, ზვალის მაცნეს  
გზები არ წავგვიდეკოს,  
მთავარია, არხად ავცდეთ  
გამოჩენილ წითელ კოჭს!..

მაშინ გვიჭირს, თუ არა გვაქვს  
შნო ლიქნის და ჩალიჩის!  
ერთხელ, ერთ დროს, ერთ აღაგას  
კი დავიჭერთ კვი ჩიტს!..

და გაჭირდა სიტყვა „მჭერა!“  
ტანთ ვის ვხდით და ვის ვაცმევთ,  
უწლავს ყველას, ვინაც ჭერ არც  
უხატონოდ ზმის გაშვებს!

დრო კი მიდის ნაცნობ ახლად  
ჩემი, შენი, იმისი!..  
კი ხატონო, მიდის მაგრამ  
ხად მიგვიყვანს, ვინ იცის?

\* \* \*

ვიდრე შენ ხარ, არა მიშავს,  
გამართლდება წესი წესად:  
როგორც ცხენი სადავესა“.  
„კაცი ისე მისდევს ჭიშხა,

რატომ სისხლი არ დამეშრა,  
რატომ თვალი არ დამეხვო?!.  
„კაცი ისე მისდევს ჭიშხა,  
როგორც ცხენი სადავესა“.

შენ რომ შენ ხარ, ტხეც ნიშნავს  
ჩემს გასაძლისს და სახეხავს!..  
„კაცი ისე მისდევს ჭიშხა,  
როგორც ცხენი სადავესა“.

აჩხრიალებ ხამხას ქვიშად,  
გადააქცევ აქლემს ნეშად!..  
„კაცი ისე მისდევს ჭიშხა,  
როგორც ცხენი სადავესა“.

ვერ გაუზვალ გარეთ ნიშანს,  
და, მით უფრო — თავის „მე“-სა!  
„კაცი ისე მისდევს ჭიშხა,  
როგორც ცხენი სადავესა“.

ზან — სიცილით, მოთქმის  
ნიშნად,  
ზან — სიცილის წილად — კვენსა!..  
„კაცი ისე მისდევს ჭიშხა,  
როგორც ცხენი სადავესა“.

რაზან ხარ და რაზან იშვა,  
ბევრს აბუჭებს სადამ ეხა:  
„კაცი ისე მისდევს ჭიშხა,  
როგორც ცხენი სადავესა“.

\* \* \*

დღე-ღამის „შო“ და „არა“,  
სამეზობლო ნისლი  
კმარა!.. და, თუკი კმარა —  
ჩემით, შენით და მისით!

გულს შერჩებს დანარჩენი,  
ციდან მკერდაშდე დევნილს —  
მიამიტობით ჩემით,  
უმაღლობით შენით!

კვლავ საყვედური ისმის,  
ცრემლი, მძიმეა ცრემლი —  
გულმავიწყობით მისით,  
უკაცურობით ჩემით!

მიწამ თქვას განაჩენი,  
ცა ჩამოიქცა ვისიც —  
უვარგისობით შენით,  
უარესობით მისით!

ის უზმაურო სისხლი,  
უჭირისუფლო ნიჭი —  
ჩემით, შენით და მისით  
დღეს საშვივს წილ მიქ, რს!



ბაბუაჩემს უნდა დავაბრლო ყველაფერი სიგლზე იმითომ, რომ იმან აგვირია ყველას გზა... რა იქნებოდა, ან რა მოხდებოდა, შთამომავლობის ხათრიზა, ან ვილატის, ან ღმერთის ხათრიზა ნიკოლოზა შეყვარებოდა, მეფე ნიკოლოზა, რომელიც აგერ ახლა რუსეთის ეკლესიამ წმინდანად აღიარა?!

ნიკოლოზის ცოდვამ ბაბუაჩემი კი არა, ლენინი და მისი ამყოლდამყოლები გადაიყოლა. აბა, რა ეგონათ, დიდიან-პატარიანად ქათმებივით რომ ამოხოცეს იმ პირისსილიანებმა იმპერატორის ოჯახი?!

ბაბუაჩემს სიყვარულს ვინ თხოვდა, ყოფილიყო თავისთვის! არა, მიინცდამინც მეფეს აუხირდა და ჩაუღდა კრიკაში, — ჩემზე მეტი რითაა? მე მგონია, ისე დაემართა, ერთი ანეკდოტი რომ დადის გურიაში აჯანყებზე: — თავადი მაჭუტაძე ირმის ხორცს ჰმადლო! — ეს მეც მაჭუტაძე! — მაჭუტაძე გოჭს მიირთმევდაო! — რამდენიც გინდა, იმდენს ვჭამო! — მაჭუტაძე კატლეტს ჰმადლო! — ეს როგორა, რომელი კატლეტია? — უყვარიათ ბაბუს და მისთანებს, კუპრი აუღუღებიათ!.. ამიტომ და ამისთვის ჩამოუგდიათ ნიკოლოზი!..

ასე იყო ეს ამბავი და საიდან მოვასწრებდი მე იმ კაცის შეყვარებას? არადა, მარტო კვერცხის გულიზა შევიყვარებდი, ახლა რომ კაბიკიც არ ეღირებოდა! ბოლოს და ბოლოს, იმასაც ვავიგებდით, ამისთანა რა იყო ის კატლეტო, სანახევროდ პურისგან რომ აკეთებენ და ასე გადარია ბაბუა და მისნაირი უტუ ხალხი?!

ჩვენს საყვარელ მწერალს, ნოდარ დუმბაძეს, ჩემზე არანაკლებად უყვარებია კვერცხი. იმაზე განაწყენებულა, — ახლა აბაზიაო, — და ორი გლეხი კინაღამ ერთმანეთს წაჩხუბა, — რატომ მოახდინე რევოლუციო?! კეთილი ბუნების კაცი იყო და მერე კალამი ისე გააყოლა გულს, ის გლეხები შეარია. მე ამას ნამდვილად არ ვიზამდი. არც ბაბუსას ვპატიობ მის დანაშაულს: ნიკოლოზს მეფობა არ აცალა, მე რომ შემყვარებოდა!

მოვიდნენ მენშევიკები, მთლად ჩვენი კაცის, თითქმის კარის მგზობლის, ნოე ყორღანის მთავრობა. ბაბუსა რა ბზიკა უქებია, რას ერჩოდა არ ვიცი, — აილო თოფი, მუხური და გაიქცა ტყეში!.. თავისუფლება არ ჰქონდა იმ ჩემი ცოდვით სავსეს, მიწა არ მისცეს თუ რა, მაგრამ ეშმაკი ჩაუღდა სულში და არ მოეშვა, სანამ კისერი არ მოატეხინა!..

ისევ კვერცხზე გამახსენდა: თითო გზობაზე ერთი კალათი კვერცხი მიჰქონდა ბაბუსა შინიდან ტყეში. ერთხელ თურმე ბებერი ტურა მიადგა კარავში. შეეცოდა და მოხარული ღორის ხორცი გადაუღდა. არ ჰქონდა ტურამ. არც ქათმის ხორცს დააკარა პირი. ბაბუსა თურმე კვერცხები გაახსენდა. ჯამში მოთქვიფა და დაუღო. ტურამ ხელად მოასუფთავა ჯამი. ენაც გაილოცა თურმე. ის ტურა მერე ბაბუსა ბებრის მიუყვანა შინ. ბებია კინაღამ გაგიჟდა. ბაბუსა დააწყენარა, — კვერცხის მეტს არაფერს ჰმადლო! ახლა იმას ვფიქრობ — სამი წელი იყო მენშევიკების მთავრობა და ამ ხნის განმავლობაში რამდენ კვერცხს შეთქვლევდა ის სამგლე ტურა?!

გამოტეხილად უნდა ვთქვა, მენშევიკების მთავრობაც არ იყო მთლად ასე ხელწამოსაკრავი და სანაგვეზე გადასადგები, მაგრამ ბაბუაჩემისთანა ცეტებს ჰკუა რომ ვერ ასწავლეს, სხვა ბრიყვებთან ერთად, ალბათ ამისთვისაც დაისაჩნენ ის უღლეურები!

ბოლშევიკების შემოჭრამ ხომ სულ მოგვითავა ხელი! რომელი ჭირი და ხოლერა შეედრებოდა იმათგან გამართულ ცოდვის კალოს?! მუხურმომარჩვეულები მგლებივით დაძრწოდნენ სოფელ-ქალაქად და მუსრის ავლებდნენ, ვინც თვალში არ მოუვიდოდათ!..

ბაბუსამ იფიქრა, — ეგებ თავისიანად მიმიღონ, მეც ამათსავით დაიწყებ ყმუილსო, მაგრამ ხმაში გაპარებული სიყალბე შეატყვეს და მისგან ნაპატრო, კვერცხნაქამ ტურასთან ერთად გახადეს ტყავი!.. აღარც ვიცი, რომელ დამზადებას ჩააბარეს!

ბაბუაჩემი მართლაც არ იყო დასანდობი, თავის ტყავში რომ არ დაეტია (იმიტომაც ვაბტყავეს), მაგრამ მე რაღა დავაშავე, კაციჰამია ბოლშევიკების ხელში რომ ჩამადო?! იმათ გადამიცდეს, წითელი ფერი დასანახავად შემქმულდა, ხალათსაც არ ვიცვამდი წითელს და აღარც იმის სურვილი მქონდა, კვერცხი შემეღება წითლად. სამაგიეროდ, იმათ შეღებეს უდანაშაულო ადამიანების სისხლით მსოფლიოს

ერთი მეექვსედი და მთელი ქვეყანა „კონცენტრაციის ცენტრში“ სამუდამო არაფერია ამ ღუნიაზე და კომუნისტებსაც უწია უმოწყალოდ გაუღებილი ხალხის ცოდვამ. „ქაჭეთის ციხე“, როგორც იქნა, ბოლოს შიგნიდან გატყდა! — აღარა ვართ კომუნისტის ამშენებლებიო! — თვითონვე დაიძახეს თავაკებმა და ეს ამოდენა საპყრობილე ძველი სარაიასავით დაისხრანგა!.. რა დასამალია და, ამაში ქართველი კაცის ხელიც ურევია!

სანამ კომუნისტები მთლად გაკოტრდებოდნენ და გაკოტრილდებოდნენ, ისარგებლეს ჩვენმა „მრგვალებმა“ და შეადგინეს მომხიბლავი პროგრამა, მაგრამ ყველაფერი ფარატინა ქალაქზე დარჩა!.. სხვა რამეებს (შეჯარს, კარაქს, ზეთს...) არ დავეკვირვებოვარ. მე კვერცხი მიყვარდა და რომ დაეინახე, სანთლით საძებარი გახდა და თანაც თუ სადმე საკომისიო ჭიხურში ან სარდაფში გამოჩნდებოდა, ცეცხლი ეკეთა, მიგვამი, ჩვენი საქმე ვერ იყო მთლად სასიკეთოდ!..

„მრგვალებმა“ ერთ წელიწადში იმდენი სიგიჟე ჩაიდინეს, მიტინგებზე, პარლამენტში თუ ქუჩებში ისე უშნოდ იხვანცალეს, იმდენი რამე წაახდინეს და დაანგრის, იმ ზომამდე მიყვანეს ისედაც გაპარტახებული ქვეყანა, კომუნისტები სანატრელი გაუხადეს დაბეჩავებული ხალხს! აი, ვისთვის უნდა დაგვეშინა ლაყე კვერცხები, თუმცა ამ დროში ვინ ვაალაყებდა კვერცხს?! მალე იმათი გრიალისა და პარპაშის დროც მოთავდა, მაგრამ ისე ძვირად დაუღდა ეს სამწუხარო ექსპერიმენტი ჩვენს საცოდავ სამშობლოს, კრილობების მოშუშებას, ყველაფრის აღდგენას საუკუნე მინც დასჭირდება! საშველი კი ჭერ-ჭერობით (უფრო ჩვენივე უტვინობის გამო) არ ჩანს! — ყოფილა უფროსი ძმა ხან შიდა ქართლიდან შემოგვინებებს ცეცხლს (ნამდვილ, ტყვია-წამლისა და რაკეტების ცეცხლსაც აღარ ერხდება, ვერტმფრენებიდანაც გვიშენს დროდადრო), ხან აფხაზეთში გვიწყობს არეულობას, ვითომ მიწების ჩამოგლეჯა და წართმევა გვკლდეს! ჩვენ კი, ჰკუდიან გადასულები, შეკავშირების ნაცვლად, ერთმანეთს ვხრცავთ!..

გარედან მოდარაჯებული და შემოჩენილი არაკეთილმოსურნენ ყოველთვის გვეყავდა, ახლა მით უმეტეს, საბოლოო თავისუფლების მოპოვება რომ დავაპირებთ, გაცილებით ბლომად გვეყავს, მაგრამ ალბათ გობრებმა ყველა რეკორდი მოხსნეს, ისე აიშვეს უსირცხვილო თავი, ისეთ ამბავში არიან, დავით გურამიშვილის კალმით დახატული შინაური აშლილობა უბრალო გასართობი, საბავშვო ბაღის აღსაზრდელების ძიძგილაობა გვეგონება!..

შეკოწიწდა ყოვლად ამაზრენი ტერორისტულ-ბანდიტური ჯგუფები, ანგრევენ ხიდებს, გვირაბებს, ყრიან ლიანდაგებს, ძარცვავენ მატარებლებს!..

ფულის გამოსაძალად ბავშვების და არც ისე იშვიათად მოზრდილების მოტაცებაც აღარავის უკვირს და თუ ასე გაგრძელდა, მალე მოსატაცებელიც აღარავინ დარჩება!.. ზოგიერთი იქამდე დაეცა, სალოცავებისა და საფლავების წაბოლწვასაც აღარ ერიდება!.. დღე არ გავა, ბორტებისგან დაბრმავებულმა, გაპირუტყვეებულმა ტერორისტებმა ვინმეს მანქანაში ან ოჯახში ნაღმი არ აუფეთქოს და ველარ უთავდება გაზეთები სამგლოვიარო განცხადებების, გამოსათხოვრების ბეჭდვას!.. ღმერთო, შენ გააცხებინე ის ბინძური სული (სულ ერთია, ვინც უნდა იყოს) ამ გაუთავებელი უბედურების მოთავსე!

თავში მოგახსენეთ: ჩვენი დაუვიწყარი ნოდარ დუმბაძე იმას წუხდა, — აბაზად რა ნამუსლით ყიდინა კვერცხსო, და ახლა თითო ცალი (ჩვენი ჯამაგირების პატრონებისთვის) ათ მინუტზე რომ ავიდა, ნეტა მაკოდინა, რა ხასიათზე დადგებოდა? ის კი არადა, ზოგჯერ ამ ფასიდაც კირს შოვნა! ხანდახან გაზეთებში სავანაშო კორესპონდენტისაც მოკრავ თვალს — „სად გაქრა კვერცხი?“ — ჭერ-ჭერობით ასეა, მაგრამ მჭერა, მალე გაიშრობით წელში, მომავალს არ უჩანს ცუდი პირი, თუ ჰკუდი ვიქვნიო!

ისე, რაც მჭირს, ყველაფერი ბაბუაჩემისგან მჭირს: მას და მისნაირებს ტლენკი რომ არ ეყარათ, პროვოკატორებს და მიიმუნებს არ აპყლოდნენ, კაი ცხოვრება გვექნებოდა, ასე არ დავიმშუოდით და არ გავუბედურდებოდით!

ახლა მინც მოვიდეთ ჰკუაზე, ნუ ავტეხილვართ სამგლე გოქებივით!

დამიჭერეთ, მართალს ვამბობ!





ბორცის ნაჭერი, ტყინტი უველი და პურის ცომი თუ გვექნა, საერთოდ აღარავინ იომებდა... და ძაღლებს რომ ატებდათ ოში, რა გასაკვირია: ძაღლი ადამიანის მეგობარია! „აღარ ახსოვთ შიმშილი ლეკვების და ბიჭების!“

(ტ. ჭანტურია)

ლეკვების შიმშილი რომ არ გვახსოვდეს, არ გვეპატიება, მაგრამ ბიჭების და გოგონების შიმშილმა უველაფერი დაგვივიწყა (იხილეთ რომ ძაღლის მეგობარია კაცი); მე მაინც შეეძლება, რომ ყოფილმა მთელმა საბჭოთა კავშირშიც რომ ვაშლოს ხუფრა, სადღა რომ გორ ვიშოვით 30 მილიონ ცალ ძვალს?! ძვალი, როგორც ცნობილია, აჭვს ქათამს, ღორს, ძროხას... ძვალს სჭირდება ტვინი და ხორცი... არც ხორცია და არც ტვინი იშოვება..

3. ეს ხიტყვები ითქვა თბილისში, მიტინგზე, 1992 წელს, ვაგზლის მოედანზე. ორატორის გვარს განგებ არ ვახსენებთ, რადგან იგივე ხიტყვები ამ ორატორის და მისი გუნდის მისამართით ითქვა 1991 წლის მიტინგზე. ამაზე იტყვიან, ჩემი შენ გითხარია!.. ლაზარეს აშით შედევათი როდი ეძლევა!.. ლაზარე ლაზარედ რჩება, ანუ მთელი საქართველო ერთი დიდი ლაზარეთია!

ჩქარა, უხმეთ ტარსაძქეს.. თვალის აქამია საქირსი..

5. ასეთი მოსაშართლე პენსიონერ ვახვლის წინ თუ გვინახავს.. ასეთ მოსაშართლედ რომ კაცი ჩამოყალიბდეს, სულ ცოტა 20-25 წელიწადი უნდა იშუშოს სახალხო მოსაშართლედ!

იხე, თუ ისტორიის გადავხედავთ, ასეთი მოსაშართლე ერთი კაცი გვყავდა ქართველებს — ილია ჭავჭავაძე და ისიც მოკლეს!.. 1992 წლის 17 იანვარს მკვდარიც გაუმარცხეთ!.. რაც კარგები ვართ...

ახლა აღარც საშართლია და აღარც მოსაშართლე გვეჩირება!

6. ამ სტრიქონების ავტორი სანდრო შანშიაშვილია, ოღონდ პოეტი შეცდა, ალბათ უნდა დაეწერა:

„მაგათ აქვთ ავტომობილი, მე შეშინია ავტომობილი“.

ცხადია, პოეტისა არავის ეშინოდა!

7. აქ მთარგმნელი „ტყუის“ (მ. პატარიძე). ეს სტრიქონები ასე უნდა ეთარგმნა:

„ხოლო როდესაც მტერს უტყდა ბელადი ნამდვილს, და ხალხს გუშინდელს პაიკებად აქცევდა ნაღდად, უსამართლობის დიქტატურა აშავდა ცამდის და კაპიტალის ციხე-კოშკებს უუფედა ცალუბად“.

ეს ბელადი ვლადიმერ ილიჩი გახლდათ! ავტორი — ბაღდათელი.

იმდენი ვუუფეთ კაპიტალიზმს, რომ ახლა ხორბალს პეშვით გვიყრიან, ვკენკავთ და აღარ ვიუფებთ!

ხალხის გაპაიკების (თუ გაკაპიკების) პროცესი კი, იცოცხლეთ, დაჩქარებული ტემპით ხორციელდებოდა ყველა ხუთწლიეში მაინც რამდენი პაიკია (თუ გაკაპიკებული) დღეს ყოფილ საბჭოთა კავშირში? ძნელი დასა-

თვლელია!.. ან იაპონელებს უნდა ვთხოვოთ შეველა, ან კომპიუტერები უნდა ვთხოვოთ ამერიკელებში! პოეზის ეს სტროფი იშთაც არის საინტერესო. რომ ახალი ხიტყვა ნათქვამი მარქსიზმის მოძღვრებაში — სამარ. ოლიანი დიქტატურა! ყველა-ყველა და, როგორ გამორჩა ეს „ლოზუნგების ქვეყნის“ ავტორს ბატონ თამაზ წიფვიძაძეს?!

8. ვფიქრობთ, ეს ხიტყვები არჩილ ჯორჯაძეს უნდა ეკუთვნოდეს. ცნობილია მისი აზრი პრევატისაციის შესახებ, რომ „ჩვენი მიწა, გარემოების და დროების მოთხოვნებით, ქართველებს უნდა დარჩეს“. ბარაკა ზვანებისადმი იხე ეი, არც ჩვენს თავაკცებს აწყენდათ ესწავლეთ არჩილ ჯორჯაძისაგან და ზვანებისაგან... მიწის სიყვარული!

9. 1948 წელს არქეოლოგმა ე. პჩელინამ სოფელ ნუშალში (არდონის ხეობა) აღმოაჩინა ქვის აკლდამა, რომელშიც ესვენა ახალგაზრდა ვაჟაკური აღნაგობის შამაკაცის ჩონჩხი, და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ჩონჩხი ეკუთვნის დავით სოსლანს — თამარ მეფის მეუღლეს. 1989 წელს ანთროპოლოგმა თ. მამუკავამ გამოაქვეყნა წიგნი „ნუშალის ეკლდარის საიდუმლო“, რომელშიც მოცემულია ცნობები სოსლანის პორტრეტის აღდგენისა და განვითარებულია ე. პჩელინას შიპოთეზა, დავით სოსლანი ყოფილა 186 სანტიმეტრი სიმაღლის. ის თავისი დღით კი არ მოჰყვარა, არამედ მოუკლავთ. თავის ქალასთან, კეფასთან, დარჩენილა დარტყმის ნაკვალევი. გადატეხილია ხერხემალი და დაზიანებულია ხელის მტევანი, ახაკიც დაადგინეს ჩონჩხის — 85 წელი. მიცვალებულს შემორტყმული ჰქონდა ქამარი, რომელზედაც ჩამოყიდებული იყო მოკლე და სწორი ცალიბრა ხმალი. იქვე იწყო რკინის ხამი რგოლი, ტალკები, სანადირო დანა და ორი აღჩურ კოჭი.

ვინ მოკლა მეფის მეუღლე?

ეს არის საკითხავი! ცხადია, მეფის მეუღლეს ჩიობაღსანი არ მოკლავდა! მოვუსმინოთ მცხეთის კანდელაქს გრიგოლ რუსიშვილს: „ნარას ნუშალის საყდარში ასაფლავია ბაღათარი, რომლის საფლავის ქვაზე ეწერა: „ჩვენ ვიყავით ცხრა ძმანი, ჩარაჯონებახლონი“. ეს არის 1898 წლის ცნობა“.

მოვუსმინოთ ბოტანიკოს (I) ვ. მარკოვიჩს: «При входе налево и направо нарысованы изображенные девяти братьев — основателей этой часовни».

მოვუსმინოთ ბატონ ივანე ლოლაშვილს: „ნეშტი, რომელიც ე. პჩელინამ აღმოაჩინა, ვისია, კაცმა არ იცის“.

მოვუსმინოთ შოთა რუსთაველს: „ვისი შეენის, — ლოშისა, — ხმარება შუბისა, ფარ-შემშერისა, — მეფისა შინს თამარისა, დაწვბადახ-თამაიშერისა, — მას, არა ვიცო, შევმართო შესხმა ხობისა, შერისა?! მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მისთა ხაშს, მართ მიშერისა“.

შეე თამარის ლოში დავითი იყო! ეპილოგში ეს ლოში უკვე საკუთარი სახელითაა მოხსენიებული.

ქართველი ხალხის სიყვარულით მოცულნი

დავით სოსლანი ვის უნდა მოკლა?! რატომ?! ჩონჩხის?! შემატანის ცნობით რომ დავითი მიიცვალა ხუნებრივი სიკვდილით და დასაფლავებულია გელათში?!

ვათხრების შედეგად აღმოჩნდა, შესაძლებელია ჩონჩხი და ისიც დავით სოსლანისა (I), ეხეც არაფერია.. დავით სოსლანი დასაფლავებულია 1208-1204 წელს. 1187 წელს (როგორც ავტორი მიიჩნევს 1189 წელს) იქორწინა თამარ მეფემ დავითზე. ამ დროს დავით სოსლანი 14-18 წლისა ვაშლიდა, ხალხო თამარ — 29 წლისა. ეს კიდევ არაფერია თ. მამუკავის უფრო შორს წავიდა: ნიშაში განჭვლილი „შარაფნამეში“ „აღმოჩნდა“ დავით სოსლანის გმირულად დაღუპვის ამბავი. „შარაფნამე“ დაიწერა 1196-1200 წლებში, ხოლო დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წელს თ. მამუკავის აზრით, ნიშაში განჭვლილი დავით სოსლანის გარდაცვალებაზედ ათიოდე წლით ადრე უწინასწარმეტყველებია დავით სოსლანი (თუ დუვადი), როგორც გმირულად დაიღუპებოდა კარის ბრძოლებში..

ხმალი, სანადირო დანა, ტალკები და რკინის რგოლები კიდევ გასაგებია, მაგრამ აღჩურ-კოჭები და დავით სოსლანი?! რომელი მეტეზარე და მეჭოვლე ის იყო?!

ეს მთელი აბრაკადაბრა და „სწავლულთა“ ენერჯია იმ წინქველზე ახსამს წყალს, რომ დავით სოსლანი არა ყოფილა ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი და ცარაზონთა გვარიდან იყო.. როგორ გვედგვიან და გვეჩინებინან ხიზნება!

ყველა-ყველა და, ქართული ანბანი თუ არ იცი, ერთმანეთისგან ხომ მაინც უნდა გაარჩიო ხუცური და მხედრული?!

კიდევ კარგი, ოსტრი წარწერები (I) არ იყო ნუშალის საყდარში, თორემ მერე გენახათ ე. პჩელინას, თ. მამუკავის და ძმათა მისთა მეტაფრასი!

10. ძველ თუშეთში, თუ შამაკაც ქალს შეაცდენდა, მკაცრი სასჯელი იყო დაწინებული. კაცს ან ქალი უნდა შეერთო, ან.. გადაეხადა 80 ძროხა (200 მანეთი). თუ პირივეთ მოხდებოდა, ამაზე ღუმს თუშური საშართალი. ეს ცნობა მოგვაწოდა მინიონერმა კასტელმა. საინტერესო ცნობაა. ძროხა 5 მანეთი ღირდა! ერთი კილოგრამი ძროხის ხორცი — 3,5 კაპიკი!

ახლა რომ ქალი შეაცდინო, დანა უნდა გამოიხსნა ყელში, ან ჭერ ცოლად შეერთო და მერე შეაცდინოს!..

ჩემს მასპინძლებთან დავბრუნდი. სიოშის მეგობარმა ფრანგული კონიაკი მოგვართვა. მერე შამპანურიც დავაყოლეთ და კარგ ხასიათზე მოვედით. აღარც გვახსოვდა კონკურსი. ციცირო ვერ ისვენებდა; თვალეზში ქინკები ჩასხდომოდნენ. მიკროფონმა გამოგვაფხიზლა. ყიურის თავმჯდომარეს უფრო დაბობნებოდა ხმა, ზეაწეული კილო ჰქონდა: — ბატონებო და ქალბატონებო! ყიურიმ შეაჯამა კონკურსის შედეგები. სულ ოცდათხუთმეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. პირველი პრიზი მიეკუთვნა და გაიმარჯვა ჩვენმა თანაქალაქელმა ქალბატონმა ციცირო კვერნაძემ!

ატყდა ტაში..

ტაში ტუში მოჰყვა..

— ბატონებო და ქალბატონებო! — განაგრძო ეიურის თავმჯდომარემ, — მეორე პრიზი არავის დაუშსახურებია. მესამე პრიზი მიიღო ბექა ქართველიშვილმა. იგი, ეტყობა, ჩვენი ქალაქის სტუმარია. ყურადღება! უნდა ჩავიკითხოთ მისი პასუხები. ბატონი ბექა ან ნიანგელია, ან შემოგზავნილი!

დარბაზი ახარხარდა..

მერე ტაში იგრილა..

— ბატონებო და ქალბატონებო, ვთხოვთ გამარჯვებულებს!

— საზეიმოდ გადმომცეს დიდი და ლამაზი თოჯინა, თოჯინას ცისფერი თვალები ჰქონდა და ქერა კულულები ჩამოშლიდა შუბლზე.

